სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 აგვისტო 2025

N 419/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს "ტოტალ ვეი"-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

2025 წლის 6 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მომართა შპს „ტოტალ ვეი"-მ და ითხოვა „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული შემდეგი ნივთიერებების ტრანზიტის ნებართვის მიღება შესაბამისი ოდენობებით:

- 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 3 750 კგ;
- R410A (HFC-32/HFC-125) – 1 500 კგ.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „ტოტალ ვეი"-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 415114183) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერებების ტრანზიტისათვის შესაბამისი ოდენობებით:

    - 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 3 750 კგ;
    - R410A (HFC-32/HFC-125) – 1 500 კგ.

2. ნებართვა ძალაშია მისი გაცემიდან ერთი წლის ვადით;

3. შპს „ტოტალ ვეი"-მ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის 1987 წლის ოქმით

გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ტოტალ ვეი“-ს;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ტოტალ ვეი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/419-21-4-202508111630